ს ა ე ქ ს პ ე რ ტ ო დ ა ს კ ვ ნ ა

ქ. თბილისში, დ. უზნაძის ქ. N14-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.16.05.001.023) დაპროექტებული მრავალფუნქციური შენობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტის „ტექნიკური რეგლამენტის – შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით

ექსპერტი: ირაკლი კვარაცხელია

თ ბ ი ლ ი ს ი

2 0 2 4

საექსპერტო შეფასების გამოყენების წესები:

- საექსპერტო შეფასება მოიცავს ტექნიკური რეგლამენტის - „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“-ს დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებასთან შესაბამისობას და არ ეხება სხვა რაიმე ნორმატიულ თუ ინდივიდუალურ აქტებთან შესაბამისობის ანალიზს;

- საექსპერტო შეფასებაში გამოყენებული ტერმინები შეესაბამება „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებში“ გამოყენებულ ტერმინებს და უნდა განიმარტოს აღნიშნული წესების მიხედვით;

- საპროექტო ობიექტის შეფასება განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებულ არქიტექტურულ პროექტზე დაყრდნობით. არქიტექტურულ პროექტში, ასევე მშენებლობის პროცესში და ექსპლუატაციის შემდგომ განხორციელებული ისეთი სახის ცვლილება, რომელიც შეთანხმებული არ არის ექსპერტთან ავტომატურად გამოიწვევს გაცემული საექსპერტო დასკვნის ძალადაკარგვას;

- არქიტექტურულ პროექტში ისეთი ცვლილება, რომელიც შეუსაბამობაში მოდის წინამდებარე შეფასების ნაწილებთან, შეთანხმებული უნდა იყოს ექსპერტთან;

- ექსპერტი პასუხს აგებს მხოლოდ არქიტექტურული პროექტის ტექნიკურ რეგლამენტთან შესაბამისობაზე და არა მის განხორციელებაზე ან/და მშენებლობის პროცესში, ასევე ექსპლუატაციის შემდგომ მისგან გადახვევაზე;

- ექსპერტიზისათვის გადმოცემული დოკუმენტაციის სისწორეზე და რეალობასთან შესაბამისობაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მომწოდებელ მხარეს.

ექსპერტიზისათვის გადმოცემული მასალის ჩამონათვალი:

1. ინფორმაცია მშენებლობის ნებართვის ობიექტის თაობაზე (აღნიშნული მოიცავს: თავფურცელს; ფურცლების ჩამონათვალს; პირობით აღნიშვნებს; დაგეგმარების მიზნის აღწერას; შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობის ანალიზს)
2. შენობა-ნეგებობის ტექნიკური მაჩვენებლები
3. სიტუაციური სქემა
4. არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალა
5. მიწის ნაკვეთის ტოპოგრაფიული გეგმა –1:500 მ
6. მიწის ნაკვეთის ტოპოგრაფიულ გეგმაზე დატანილი მიწის ნაკვეთის გეგმა (გენგეგმა)
7. შენობა–ნაგებობების განთავსება და სიმაღლეები
8. გეგმები, ჭრილები, ფასადები
9. დეტალების ფრაგმენტული ნახაზები
10. დაკავებულობისა და ხანძარსაწინააღმდეგო სისტემის გეგმები (აღნიშნული მოიცავს: დაკავებულობის დატვირთვებს; გზა–კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობებს; გასასვლელებს; გასასვლელთან მისადგომებს; გასავლელებსა და შენობიდან გამოსასვლელებს; გასასვლელამდე სავალ მაქსიმალურ მანძილებს; მისაწვდომობის სვლაგეზს; ცეცხლმედეგობის ხარისხიან მოთხოვნილ გამმიჯნავებს; გამოყენებულ ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემებს)
11. შენობის ვიზუალიზაცია

საექსპერტო დასკვნის შემადგენელი ნაწილები:

1. დაკავებულობ(ებ)ისა და დაკავებულობის დატვირთვების შეფასება;
2. კონსტრუქციის ტიპების შეფასება;
3. სიმაღლისა და ფართობის შეფასება;
4. გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასება;
5. გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასება;
6. მისაწვდომობის შეფასება;
7. გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასება;
8. სახურავის ანაწყობების შეფასება;
9. ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასება;
10. ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასება;
11. წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება;
12. ლიფტების შეფასება;
13. ავტომობილებთან დაკავშირებული მოთხოვნების შეფასებას.

პროექტის ზოგადი აღწერილობა:

წარმოდგენილი პროექტის პირვანდელი ვარიანტი შეთანხმებულია 2019 წელს და გაცემულია მშენებლობის ნებართვა (ბრძანება N4475623 24.04.2019). აღსანიშნავია, რომ პირვანდელი პროექტი შეფასებულია საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის 2019 წლის ვერსიით, რაც იმას ნიშნავს, რომ კორექტირებული პროექტიც უნდა შეფასდეს იმავე ვერსიით, მითუმეტეს, რომ მშენებლობა დაწყებულია.

პროექტის კორექტირება, ძირითადად, მდგომარეობს შემდეგში: სასტუმროს ბლოკმა გადაინაცვლა 8 და 6 სართულიან ბლოკებში; უზნაძის ქუჩის მხარეს 7 სართულიან

ბლოკში სართულებზე გაერთიანდა ორ ორი ნომერი და განთავსდა საერთო საცხოვრებლის სივრცეები; დაკორექტირდა სასტუმროს ფუნქციონირებისთბის განკუთვნილი ოთახების მდებარეობები; დაკორექტირდა ოთახების განაწილება კონსტრუქციული მზიდი ელემენტების უცვლელად; ნომრების სართულებზე G-D ღერძებში მოეწო საერთო სარგებლობის სამზარეულო სასადილო; მცირე გეგმარებითი ცვლილებებია ±0.00 ნიშნულზე მდებარე სართულზე; სახურავზე („H3-H5“ ღერძებს შორის) დაგეგმარდა საბოილერო; +16.10 ნიშნულზე ერთი ნომრის, ხოლო +22.10 ნიშნულზე ორი ნომრის ნაცვლად დაგეგმარდა სავარჯიშო ოთახები; ასეცე შეიცვალა ფასადის მასალები, ფერი და ა.შ

გ ა მ ო კ ვ ლ ე ვ ა:

1. **დაკავებულობებისა და დაკავებულობის დატვირთვების შეფასება:**

პროექტში გათვალისწინებული დაკავებულობები კლასიფიცირებულია „წესების“ მესამე თავის მიხედვით და აკმაყოფილებს 302-ე ქვეთავის ყველა მოთხოვნას. პროექტში გამოყენებულია შემდეგი დაკავებულობები:

- **მცირე საფრთხის შემცველი სასაწყობო ჯგუფი სწ-2** (შემოზღუდული ავტოსადგომი გარაჟი -2.95 ნიშნულზე; საკვები პროდუქტების საწყობი ±0.00 ნიშნულზე)
  აღნიშნული შეესაბამება 311.3 ქვეთავს.

- **საშუალო საფრთხის შემცველი სასაწყობო ჯგუფი სწ-1** (სამეურნეო და ქიმიური საშუალებების საწყობები -2.95 ნიშნულზე; ბარგის ოთახი ±0.00 ნიშნულზე)
  აღნიშნული შეესაბამება 311.2 ქვეთავს.

- **დიდი საფრთხის შემცველი ჯგუფი დსშ-3** (საგენერატორო და დიზელის შესანახი სათავსი -2.95 ნიშნულზე). ეს დაკავებულობა განვიხილოთ უფრო დაწვრილებით: სპეციალისტებთან კონსულტაციის შედეგად დადგენილია,

რომ დიზელი მიეკუთვნება II კლასის წვადი სითხეების ჯგუფს, არ შეიცავს დეფლაგრაციის ან აჩქარებული წვისგან განპირობებულ საფრთხეებს და ამიტომ 307.1(1) ცხრილისა და 307.4 და 307.5 ქვეთავების მიხედვით წარმოადგენს **დსშ-3** დაკავებულობას. ამასთან, წვადი სითხეები არ შედის 415.5.2 ცხრილის ჩამონათვალში და არ არის აუცილებელი, რომ ინახებოდეს ცალკე მდგომ შენობაში. რადგან ცალკე მდგომი შენობა გამოირიცხა, 415.5.1.3 ქვეთავის მიხედვით, შენობის შეწევა მიწის ნაკვეთის საზღვრებიდან საჭირო არ არის.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით პროექტის ავტორის მიერ სწორედ არის განსაზღვრული დაკავებულობის ჯგუფი, რომელიც შეესაბამება 307.1 ქვეთავს.

- **დამხმარე და სხვადასხვა დანიშნულების ჯგუფი დს** (სახანძრო ავზების და ტუმბოს ოთახი და ტექნიკური ოთახები -2.95 ნიშნულზე; ტექნიკური ოთახი ±0.00 ნიშნულზე; დამლაგებლის ოთახები და ტექნიკური ოთახები +4.10 ნიშნულიდან +16.10 ნიშნულის ჩათვლით)

  აღნიშნული შეესაბამება 312.1 ქვეთავს.

- **სავაჭრო ჯგუფი სვ** (კომერციული ფართობები ±0.00 ნიშნულზე)

  აღნიშნული შეესაბამება 309.1 ქვეთავს.

- **საქმიანი ჯგუფი სქ** (სამრეცხაოები -2.95 ნიშნულზე; დაცვის ოთახი -0.30 ნიშნულზე; გასახდელები და სამკითხველო დარბაზი ±0.00 ნიშნულზე; სავარჯიშო ოთახები +4.10, +16.10 და +22.10 ნიშნულებზე; სამზარეულო - სასადილოები +4.10 ნიშნულიდან +16.10 ნიშნულის ჩათვლით)

  აღნიშნული შეესაბამება 304.1 ქვეთავს და 303.1.1 ქვეთავს, რომლის მიხედვით 50 ადამიანზე ნაკლები დაკავებულობის დატვირთვის სივრცეები უნდა მიეკუთვნოს სქ ჯგუფს.

- **თავშეყრის ჯგუფი თვ-2** (სასადილო, პერსონალის სასადილო, სამზარეულო და სასტუმროს ფოიე ლაუნჯით ±0.00 ნიშნულზე)

  აღნიშნული შეესაბამება 303.3 ქვეთავს.

- **საცხოვრებელი ჯგუფი სც-1** (სასტუმროს ნომრები +4.10 ნიშნულიდან +22.10 ნიშნულის ჩათვლით)
  <u>აღნიშნული შეესაბამება 310.3 ქვეთავს.</u>

- **საცხოვრებელი ჯგუფი სც-2** (საერთო საცხოვრებლის ოთახები/ნომრები +4.10 ნიშნულიდან +19.10 ნიშნულის ჩათვლით)
  <u>აღნიშნული შეესაბამება 310.4 ქვეთავს.</u>

საპროექტო შენობის დაკავებული სივრცეების დაკავებულობის დატვირთვები გამოთვლილია ორი მეთოდით, კერძოდ:

მეთოდი N1: 1004.1.2 ცხრილის მიხედვით არჩეულია სივრცეების დანიშნულება და შემდგომ ამ სივრცეების იატაკის ფართობები გაყოფილია, ზემოხსენებული ცხრილის შესაბამის, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორებზე:

- მიწისქვეშა ავტოსადგომი გარაჟისთვის (**სწ-2**) მიკუთვნებულია ავტოსადგომი გარაჟების სივრცის სტატუსი და შემდგომ მისი ფართობი გაყოფილია 18,6-ზე;

- სასაწყობო ფართობებისთვის (**სწ-1** და **სწ-2**) მიკუთვნებულია სასაწყობო სივრცის სტატუსი და შემდგომ თითოეულის ფართობები გაყოფილია 46,5-ზე;

- **დს** და **დსშ-3** ჯგუფის დაკავებულობების მქონე სივრცეებისთვის მიკუთვნებულია დამხმარე სათავსების ან/და მექანიკური მოწყობილობების ოთახის სტატუსი და შემდგომ თითოეული ამ სივრცის ფართობი გაყოფილია 27,9-ზე;

- სავაჭრო ფართობებისთვის (**სვ**) მიკუთვნებულია სავაჭრო-კომერციული სივრცის (მიწის დონის ქვედა ან/და მიწისპირა იატაკების ფართობების) სტატუსი და შემდგომ თითოეულის ფართობი გაყოფილია 2,8-ზე;

- სამრეცხაოებისა (**სქ**) და დაცვის ოთახისთვის (**სქ**) მიკუთვნებულია საქმიანობის წარმოების (ბიზნეს) სივრცის სტატუსი და შემდგომ თითოეულის ფართობი გაყოფილია 9,3-ზე;

- სამკითხველო დარბაზისთვის (**სქ**) მიკუთვნებულია ანალოგიური დასახელების სივრცის სტატუსი და შემდგომ მისი ფართობი გაყოფილია 4,7-ზე;

- სავარჯიშო ოთახებისთვის (**სქ**) მიკუთვნებულია სპორტული ვარჯიშებისთვის განკუთვნილი ოთახის სტატუსი და მისი ფართობიც გაყოფილია 4,7-ზე;

- სასადილოებისა (**თვ-2** და **სქ**) და სასტუმროს ფოიე-ლაუნჯისათვის (**თვ-2**) მიკუთვნებულია არაფიქსირებულ დასაჯდომებიანი თავშეყრის ფართობის (არაკონცენტრირებული) სტატუსი და შემდგომ მათი ფართობები გაყოფილია 1,4-ზე;

- ±0.00 ნიშნულზე მდებარე სამზარეულოსათვის (**თვ-2**) მიკუთვნებულია ანალოგიური დასახელების სივრცის სტატუსი და შემდგომ მისი ფართობი გაყოფილია 18,6-ზე;

- **მეთოდი N2:** სასტუმროს ნომრების (**სც-1**), საერთო საცხოვრებლის ოთახების/ნომრების (**სც-2**) და გასახდელების (**სქ**) დაკავებულობის დატვირთვა გამოთვლილია იმ დამკვებელთა რეალური რაოდენობის მიხედვით, ვისთვისაც არის დაგეგმარებული ზემოხსენებული სივრცეები (ამ შემთხვევებში: საწოლების ან/და გასახდელის კარადების მიხედვით), რაც დასაშვებია 1004.1.2 ქვეთავის გამონაკლისის მიხედვით. აღსანიშნავია, რომ ამ მეთოდით დათვლილი დამკვებელთა რაოდენობა შესაძლებელია იყოს ფორმულით გამოთვლილზე ნაკლებიც;

<u>დაკავებულობის ჯგუფების შერჩევა და ასევე მათი დატვირთვების გამოანგარიშება განხორციელებულია „წესების“ მიხედვით.</u>

2. კონსტრუქციის ტიპების შეფასება:

- შენობის კონსტრუქციულ ტიპად განსაზღვრულია **I-B** ტიპი, რომელიც შერჩეულ იქნა შენობის დაკავებულობების, სართულიანობის, სიმაღლისა და ფართობის მიხედვით და სრულიად აკმაყოფილებს 503-ე ცხრილის მოთხოვნებს. აქვე გვინდა განვმარტოთ, რომ, მართალია **დს** დაკავებულობები გვხვდება მე-5 სართულის ზემოთაც (რაც იმას ნიშნავს, რომ 503-ე ცხრილი ითხოვს **I-A** ტიპის კონსტრუქციას), მაგრამ ვინაიდან მათი ფართობი მთლიანი სართულის ფართობის 10%-ზე ნაკლებია, ისინი წარმოადგენს 508.2 ქვეთავის შესაბამის დამხმარე დაკავებულობებს და შესაბამისად, მათი დამოუკიდებლად განხილვა, ექსპერტის აზრით, არ უნდა მოხდეს ანუ კონსტრუქციის ტიპი იმის გამო არ უნდა გახდეს **I-A**, რომ მე-5 სართულის ზემოთ, თითო სართულზე დაგეგმარებულია რამდენიმე **დს** დაკავებულობის მქონე ოთახი, რომელთა საერთო ფართობი ძალიან მცირეა (ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნები შენობის ელემენტებისათვის კონსტრუქციული ტიპების მიხედვით იხ. 601 ცხრილში).

კონსტრუქციული ტიპის შერჩევა განხორციელებულია „წესების“ მიხედვით.

3. სიმაღლისა და ფართობის შეფასება:

- დაკავებულობების და კონსტრუქციული ტიპის გათვალისწინებით საპროექტო შენობის სიმაღლე (შესაბამისად სართულიანობა) და ფართობი აკმაყოფილებს 503-ე ცხრილის მოთხოვნებს;

- შენობის მაქსიმალური სიმაღლე მიწის საკონტროლო დონიდან 26.10 მეტრია, ხოლო შენობის ყველაზე მაღალი დაკავებული იატაკი მდებარეობს სახანძრო მანქანის მისადგომი ყველაზე დაბალი დონიდან 22.55 მ-ზე ანუ 23.0 მ-ზე დაბლა, რაც იმას ნიშნავს, რომ „წესების“ მიხედვით, ეს შენობა არ არის მაღლივი

წარმოდგენილი ობიექტის სიმაღლე, სართულიანობა და ფართობი შესაბამისობაშია შერჩეულ კონსტრუქციულ ტიპთან და აკმაყოფილებს „წესების“ 503 ცხრილის მოთხოვნებს.

4. გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასება:

შენობის თითოეულ სართულს, დაკავებულობებიდან, დაკავებულობის დატვირთვებიდან, სართულიანობიდან და გასასვლელთან მისადგომი მაქსიმალური სავალი მანძილებიდან გამომდინარე (ცხრილი 1021.2(2)), ესაჭიროება რამდენიმე გასასვლელი, რაც პროექტით გათვალისწინებულია. განვიხილოთ გასასვლელი საშუალებები სართულების მიხედვით:

- -2.95 ნიშნულზე მდებარე სართულს ესაჭიროება 2 გასასვლელი, თუმცა გეგმარების თავისებურებიდან გამომდინარე, „1[1]-H4” ღერძებს შორის მდებარე ნაწილს გააჩნია თავისი 2 გასასვლელი საშუალება (შიგა გასასვლელის გზა-კიბე), ხოლო „H4-H12[1]” ღერძებს შორის მდებარე ნაწილს - თავისი 2 გასასვლელი საშუალება (შიგა გასასვლელის გზა-კიბე). სართულის თითოეული ზემოხსენებული ნაწილის გზა-კიბეებს შორის, უფრო ზუსტად კი გზა-კიბეებთან მიადგომ გზა-კარებს შორის მანძილი, თანახმად 1015.2.1 ქვეთავის №2 გამონაკლისისა (ავტოსაშხეფი სისტემის არსებობის გათვალისწინებით), შეადგენს სართულის თითოეული ნაწილის მაქსიმალური დიაგონალური სიგრძის არანაკლებ ერთმესამედს. აღნიშნული გზა-კიბეების საშუალებით მოხვედრა შეიძლება როგორც შენობიდან გამოსასვლელის დონეზე (±0.00 ნიშნულზე), ასევე დანარჩენ სართულებზეც;

- ±0.00 ნიშნულზე დაგეგმარებული სივრცეებიდან უმრავლესობას გააჩნია დამოუკიდებელი გასასვლელი საშუალებები, გზა-კარების სახით, თუმცა არის ისეთი სივრცეებიც, რომლის დამკავებლები საერთო სარგებლობის დერეფნების საშუალებით გამოდიან შენობიდან. ყველა იმ სივრცეს, რომლის

დაკავებულობის დატვირთვა 49-ზე მეტია, გააჩნია მინიმუმ 2 გასასვლელის გზა-კარი, რომელთა შორის მანძილი აკმაყოფილებს 1015.2.1 ქვეთავის №2 გამონაკლისის მოთხოვნებს ანუ ავტოსაშხეფი სისტემის არსებობის გათვალისწინებით ისინი დაშორებულია თითოეული სივრცის მაქსიმალური დიაგონალური სიგრძის არანაკლებ ერთიმესამედით;

- შენობის ზედა სართულებზე განთავსებულია სასტუმროს ბლოკი და საერთო საცხოვრებლის ბლოკი, რომლებიც ერთმანეთისგან გეგმარებითად გამიჯნულია და თითოეულს გააჩნია შიგა გასასვლელის 2 გზა-კიბე. ეს ის კიბეებია, რომლებიც ზემოთ უკვე ვახსენეთ, ოღონდ ამ შემთხვევაში ისინი, როგორც გასასვლელი საშუალებები, სხვანაირად არის გადანაწილებული, კერძოდ:

გამიჯვნის მიუხედავად, +4.10 ნიშნულიდან +16.10 ნიშნულის ჩათვლით, სასტუმროს ბლოკის დამკავებლებს აგრეთვე შეუძლიათ „H10-H11“ ღერძებს შორის მდებარე, საერთო საცხოვრებლის ბლოკის, ერთ-ერთი გზა-კიბით სარგებლობა (ეს გარემოება გამოწვეულია იმით, რომ არ შექმნილიყო 15 მ-ზე მეტი სიგრძის ჩიხური დერეფანი, რაც დაუშვებელია), ასე, რომ +4.10 ნიშნულიდან +16.10 ნიშნულის ჩათვლით, სასტუმროს ბლოკს ემსახურება სამი-გზა-კიბე, ხოლო საერთო საცხოვრებლის ბლოკს - ორი. +19.10 ნიშნულზე მდებარე სართულს, სადაც სასტუმროსა და საერთო საცხოვრებლის ბლოკებს ერთმანეთთან კავშირი აღარ გააჩნია, თითოეულ ბლოკს ემსახურება ორი გზა-კიბე, ხოლო +22.10 ნიშნულზე დაგეგმარებულია მხოლოდ სასტუმროს ბლოკი და მას ემსახურება ორი გზა-კიბე. ზემოაღნიშნული გზა-კიბეებიდან ყოველ ორ აუცილებელ გზა-კიბესთან მისადგომი გზა-კარები ერთმანეთისგან, 1015.2.1 ქვეთავის №2 გამონაკლისის თანახმად (ავტოსაშხეფი სისტემის არსებობის გათვალისწინებით), შესაძლებელია, რომ დაშორებული იყოს სართულის (ამ შემთხვევაში ბლოკისაც) საერთო მაქსიმალური დიაგონალური სიგრძის არანაკლებ ერთმესამედზე, თუმცა პროექტის მიხედვით ეს დაშორება ზოგან გაცილებით მეტიცაა. ზემოხსენებული გზა-კიბეები ისეა დაგეგმარებული, რომ დაცულია 1022.1 ქვეთავის მოთხოვნები ანუ ისინი შენობიდან გამოსასვლელის დონეზე (±0.00 ნიშნულზე) მიემართება შენობის გარეთ 1023-ე ქვეთავის

შესაბამისად მოწყობილი გზა-დერეფნის საშუალებით ან/და შენობის შენობის გამოსასვლელის დონეზე მდებარე ფართობების გავლით (შენობის გამოსასვლელის დონეზე მდებარე ფართობების გავლით ასევე დასაშვებია 1022.1 ქვეთავის მიხედვით, რადგან დაცულია 1027.1 ქვეთავის N1 გამონაკლისის ყველა მოთხოვნა;

- საპროექტო შენობა არ არის მაღლივი და შესაბამისად შიგა გასასვლელის გზა-კიბეები არ არის აუცილებელი, რომ იყოს კვამლისგან დაცული შემოზღუდული სივრცეები, თუმცა ვინაიდან კიბეების განიავება ვერ ხერხდება ბუნებრივად, ისინი ნიავდება მექანიკურად (იხ. განმარტებითი ბარათი და ცხრილი);

- 1022.2 ქვეთავის თანახმად, გზა-კიბეები დანარჩენი სივრცეებისგან შემოზღუდული უნდა იყოს 2 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე კედლებით, რაც პროექტით გათვალისწინებულია ანუ როგორც გზა-კიბეების ასევე ვესტიბიულების შემომზღუდავებს წარმოადგენს ბეტონის ბლოკის ან/და გაძლიერებული ბეტონის კედლები (დიაფრაგმები), რომლებსაც 721.1(2) და 721.1(1) ცხრილების თანახმად გააჩნია ცეცხლმედეგობის მოთხოვნილი ხარისხი (იხ. პირობითი აღნიშვნები). შენობიდან გზა-კიბეზე, შენობიდან ვესტიბიულში, ასევე ვესტიბიულიდან გზა-კიბეზე გასასვლელი კარის ანაწყობების ცეცხლმედეგობის ხარისხი არის 90 წუთი, რაც აკმაყოფილებს 716.5 ცხრილის მოთხოვნებს;

  შენიშვნა №1: 909.20.3.2 ქვეთავის თანახმად, ვესტიბიულიდან გზა-კიბეზე გასასვლელი კარის ცეცხლმედეგობის ხარისხი არ უნდა იყოს 90 წუთზე ნაკლები და უნდა აკმაყოფილებდეს 716.5.3 და 716.5.3.1 ქვეთავების მოთხოვნებს, რომლის მიხედვით კვამლგაუმტარი ზღუდეების კედლებში მოწყობილი კარის ანაწყობები NFPA 252-ის ან UL 10 C-ს და UL 1784-ის შესაბამისად უნდა შემოწმდეს. კვამლგაუმტარი კარები NFPA 105-ის შესაბამისად უნდა დამონტაჟდეს.

  შენიშვნა №2: შენობიდან ვესტიბიულში გასასვლელი ცეცხლმედეგი კარის ანაწყობი 716.5.1 ქვეთავების მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს, რომლის მიხედვით ანჯამიანი ან ღერძზე მოძრავკარიანი ცეცხლმედეგი კარის ანაწყობი

NFPA 252-ის ან UL 10 C-ს შესაბამისად უნდა შემოწმდეს. ცეცხლმედეგი კარები NFPA 80-ის შესაბამისად უნდა დამონტაჟდეს.

შენიშვნა №3: კვამლისგან დაცულ შემოზღუდულ სივრცეში კვამლაღმომჩენის გააქტიურების შედეგად კარი თავისით ან ავტომატურად უნდა იკეტებოდეს, რომელიც დაყენებულია კვამლისგან დაცული შემოზღუდული სივრცის იატაკის მხარეს მდებარე შესასვლელთან. ნებისმიერ კარზე დაყენებული კვამლაღმომჩენის გააქტიურებამ უნდა აამუშავოს კვამლისგან დაცული შემოზღუდული სივრცის ყველა დონეზე მდებარე ყველა კარის დამკეტი მოწყობილობები. კვამლაღმომჩენები უნდა განთავსდეს 907.3 ქვეთავის შესაბამისად. ავტომატურად დაკეტვადი კარების ავტომატურად დახურვას, კვამლაღმომჩენის გააქტიურების შემდეგ 10 წამზე მეტი არ უნდა დასჭირდეს.

შენიშვნა №4: 1006.2 ქვეთავის თანახმად გზა-კიბეების განათებულობა სავალი ზედაპირის დონესთან 11 ლუქსზე ნაკლები არ უნდა იყოს. 1006.3 ქვეთავის თანახმად დენის გათიშვისას, სათადარიგო ელექტროსისტემამ ავტომატურად უნდა გაანათოს გასასვლელი საშუალებები და დენით მომარაგებას უნდა უზრუნველყოფდეს არანაკლებ 90 წუთის განმავლობაში და უნდა შედგებოდეს აკუმულატორების ან ავტონომიური გენერატორისაგან.

- ყველგან სადაც ეს აუცილებელია, გზა-კიბეებს აკავშირებს გასასვლელთან მისადგომი დერეფნები, რომლებიც მოწყობილია 1018-ე ქვეთავის მოთხოვნათა დაცვით. დერეფნებში მოწყობილია საჰაერო შახტები, რომელიც შესაბამის მოწყობილობებთან ერთად უზრუნველყოფს მექანიკურ განიავებას/კვამლის მექანიკურ გაწოვას (იხ. განმარტებითი ბარათი და ცხრილი);

შენიშვნა : დენის გათიშვისას, სათადარიგო ელექტროსისტემამ ავტომატურად უნდა გაანათოს დერეფნები და დენით მომარაგებას უნდა უზრუნველყოფდეს არანაკლებ 90 წუთის განმავლობაში და უნდა შედგებოდეს აკუმულატორების ან ავტონომიური გენერატორისაგან.

- საპროექტო, პერიმეტრული განაშენიანების მქონე შენობიდან საზოგადოებრივ სივრცეში მოხვედრა, შესაძლებელია როგორც პირდაპირ, ისე შიგა ეზოს

გავლით. შიგა ეზო 1027.4 ქვეთავის შესაბამისად არის მოწყობილი და უკავშირდება საზოგადოებრივ სივრცეს (უზნაძის ქუჩას).

- გასასვლელთან მისადგომი სავალი მანძილის ზომები დაანგარიშებულია სწორად, გასასვლელისგან ყველაზე დაშორებული ფართობის გათვალისწინებით და აკმაყოფილებს „წესების“ 1016.2 ქვეთავის მოთხოვნებს.

გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების ნორმები აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს.

5. გზა–კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასება:

- ყველა ზემოთ განხილული შიგა გასასვლელი გზა-კიბის თავისუფალი სიგანე (მოაჯირებს შორის) არის 1.25 მ, რაც აკმაყოფილებს 1005.3.1 და 1009.4 ქვეთავების მოთხოვნებს. კიბეებზე სავალი ზედაპირის ღია მხარეს მოწყობილია მოაჯირები 1013 ქვეთავის შესაბამისად. სახელურები მოწყობილია კიბის ორივე მხარეს, 1012 ქვეთავის მოთხოვნათა დაცვით. სწორად არის განსაზღვრული საფეხურების შუბლის სიმაღლე და თარაზული ზედაპირის სიღრმე, რაც აკმაყოფილებს 1009.7.2 ქვეთავის მოთხოვნებს. გზა-კიბეების ბაქნების ზომები შეესაბამება 1009.8 ქვეთავის მოთხოვნებს.

- მიწისქვეშა სართულზე, გზა-კიბეებთან მდებარე ვესტიბიულების სიგრძე (გასასვლელისკენ სავალი გზის მიმართულებით) არსად არის 1.80 მ-ზე ნაკლები, ხოლო სიგანე - 1.20 მ-ზე ნაკლები, რაც აკმაყოფილებს 909.20.1 ქვეთავის მოთხოვნებს;

- ყველა კარის (რომელიც არის გასასვლელი საშუალების ნაწილი/კომპონენტი) სიგანე 90 გრადუსით გაღებულ მდგომარეობაში უზრუნველყოფს ღიობის 0.82 მ-ზე მეტ თავისუფალ სიგანეს, რაც აკმაყოფილებს 1008.1.1 ქვეთავის მოთხოვნებს;

- დერეფნების მინიმალური სიგანე არსად არის 1005.3.2 ქვეთავის მიხედვით გამოთვლილსა და 1018.2 ცხრილის მიხედვით დასაშვებ მინიმუმზე (1.20 მ) ნაკლები;

- ±0.00 ნიშნულზე მოწყობილი გზა-დერეფნების სიგანე არსად არის 1023.2 ქვეთავით მოთხოვნილზე (1.20 მ) ნაკლები. რა თქმა უნდა, ეს სიგანეები ასევე შესაბამისობაშია 1005.1 ქვეთავის მოთხოვნებთან;

- შიგა ეზოს გამტარუნარიანობის ანუ ეზოს და განსაკუთრებით ეზოდან გამოსასვლელი „თაღის“ სიგანის დასადგენად ჯერ უნდა დავთვალოთ იმ დამკვებელთა რაოდენობა, რომლებიც ერთდროულად შეძლება მოხვდეს ამ ეზოში. ეს გახლავთ: მიწისქვეშა სართულის „H4 – H12“ ღერძებს შორის მდებარე ნაწილის დამკვებლები (64); მიწისქვეშა სართულის „1^1-H4“ ღერძებს შორის მდებარე ნაწილის დამკვებელთა ნახევარი (10), რადგან ამ ფართობის დამკვებლებს შეუძლიათ ისარგებლონ მეორე კიბითაც, რომელიც შიგა ეზოში არ გადის; ±0.00 ნიშნულზე მდებარე ფართობების დამკვებელთა დაახლოებით 2/3 (390), რადგან ზოგიერთ ფართობს პირდაპირ საზოგადოებრივ სივრცეში აქვს გასასვლელი; +4.10 ნიშნულზე მდებარე სართულის დამკვებელთა 1/2 (111), რადგან ამ სართულს გააჩნია ოთხი გზა-კიბე, რომელთაგან ორი - შიგა ეზოში არ გადის. ამის შემდგომ, ზემოხსენებული დამკვებელთა ჯამური რაოდენობა უნდა გავამრავლოთ 1005.3.2 ქვეთავით განსაზღვრულ გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობის ფაქტორზე, რომელიც ამ შემთხვევაში თითო დამკვებელზე 5,1 მმ ანუ 0,0051მ-ია.

  X=575 x 0,0051=2,93 მ

  ამ მონაცემიდან (2,93 მ) ჩანს, რომ შიგა ეზოდან გამოსასვლელის სიგანე, რომელიც პროექტის მიხედვით 4,63 მ-ია, აკმაყოფილებს 1005.1, 1005.3.2 და 1027.4.1 ქვეთავების მოთხოვნებს.

გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობა აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს.

6. მისაწვდომობის შეფასება:

- მისაწვდომი სვლაგეზი უზრუნველყოფილია საზოგადოებრივი სივრციდან საპროექტო შენობის ±0.00 ნიშნულზე მდებარე ყველა შესასვლელამდე და შენობის ყველა დაკავებულ დონეზე, თანახმად 1104-ე ქვეთავისა. გამონაკლისს წარმოადგენს 1103.2.5 და 1103.2.9 ქვეთავებით განსაზღვრული ფართობები ანუ **დს** ჯგუფის დაკავებულობის მქონე ტექნიკური ოთახები, რომლებსაც მისაწვდომი სვლაგეზი არ ესაჭიროება, თუმცა ხშირ შემთხვევაში გააჩნია;

- საპროექტო შენობის ყველა მთავარი შესასვლელი მისაწვდომია, რაც აკმაყოფილებს 1105.1 ქვეთავის მოთხოვნას;

- საპროექტო შენობის მისაწვდომ სვლაგეზზე მდებარე ყველა ლიფტი მისაწვდომია შშმ პირთათვის;

- შენობაში განთავსებულია სასტუმროს 123 ნომერი, რომელიც მცირე ხნით დამკავებლებისათვისაა განკუთვნილი (**სც-1**) და საერთო საცხოვრებლის 102 ნომერი, რომელიც ხანგრძლივად დამკავებლებისთვისაა განკუთვნილი (**სც-2**), შესაბამისად სასტუმროს 123 ნომრიდან 7 ნომერი არის მისაწვდომი, რომლიდანაც ორს გააჩნია ეტლის შესაგორებელი საშხაპე და საერთო საცხოვრებლის 102 ნომრიდანაც 7 ნომერი არის მისაწვდომი, რომლიდანაც ორს გააჩნია ეტლის შესაგორებელი საშხაპე (მისაწვდომი ერთეულები განთავსებულია +4.10, +7.10, +10.10, +13.10, +16.10 და +19.10 ნიშნულებზე). ყოველივე ზემოაღნიშნული შეესაბამება 1107.6.1.1.1 და 1107.6.2.2 ქვეთავებს და 1107.6.1.1 ცხრილს;

- საზოგადოებრივ ფართობებს ემსახურება შესაბამისი რაოდენობის მისაწვდომი ტუალეტის ოთახები, რაც შეესაბამება 1109-ე ქვეთავს;

- ყველა სასადილო ფართობი არის მისაწვდომი და სასადილო ზედაპირების რაოდენობის 5% არის მისაწვდომი, რაც აკმაყოფილებს 1108.2.9.1 ქვეთავში მოთხოვნილ რაოდენობას;

- 1106.1 ცხრილის შესაბამისი რაოდენობის მისაწვდომი სივრცეებით არის უზრუნველყოფილი შემოზღუდული (მიწისქვეშა) ავტოსადგომი გარაჟი, კერძოდ: ჯამში 26 ავტოსადგომიდან 2 ადგილი გათვალისწინებულია შშმ პირთათვის. თანახმად 1106.5 ქვეთავისა, ყოველი ექვსი მისაწვდომი ავტოსადგომი სივრციდან, სულ მცირე ერთი ან მათგან რაღაც ნაწილი მიკროავტობუსებისთვის მისაწვდომი ავტოსადგომი სივრცე უნდა იყოს, რაც პროექტით გათვალისწინებულია;

- შენობაში მისაწვდომ სივრცეებს ემსახურება შესაბამისი რაოდენობის მისაწვდომი გასასვლელი საშუალება, რაც შეესაბამება 1007.1 ქვეთავის მოთხოვნას. 1007.2 ქვეთავის შესაბამისად, თითოეული აუცილებელი მისაწვდომი გასასვლელი საშუალება უწყვეტად მიემართება საზოგადოებრივი გზისკენ და მოიცავს: მისაწვდომ სვლაგეზს, 1007.3 და 1022-ე ქვეთავების შესაბამისად მოწყობილ მისაწვდომ გზა-კიბეებს და 1007.2.1 ქვეთავის შესაბამის მისაწვდომ ლიფტებს (განმარტებითი ბარათის თანახმად, თითო ასეთი ლიფტი გათვალისწინებულია როგორც სასტუმროს ბლოკში, ისე საერთო საცხოვრებლის ბლოკში). ვინაიდან შენობა მთლიანად აღჭურვილია ავტოსაშხეფი სისტემით, 1007.3 ქვეთავის N1 და N2 გამონაკლისების თანახმად, გზა-კიბის სახელურებს შორის 1.2 მ სიგანე და გზა-კიბის ფარგლებში თავშესაფრის ფართობის მოწყობის საჭიროება არ არის;

- 1007.4 ქვეთავის N1 გამონაკლისის თანახმად, მთელ შენობაში ავტოსაშხეფი სისტემის არსებობის გამო, თავშესაფრის ფართობები არც იმ ლიფტებს ესაჭიროება, რომლებიც აუცილებელ გასასვლელ საშუალებას წარმოადგენს.

<u>შენობაში უზრუნველყოფილია მისაწვდომობა და აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს.</u>

7. გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასება:

საპროექტო შენობის კონფიგურაციიდან გამომდინარე, მიწის ნაკვეთის საზღვრებიდან და ქუჩის შუა ღერძიდან შენობის დაშორების მანძილი გარკვეულ სართულზე განსხვავებულია, შესაბამისად ხანძარსაწინააღმდეგო მანძილიდან გამომდინარე გარე კედლების ხანძარმედეგობა (ცხრილი 602) და გარე კედლებში მოსაწყობი ღიობების ფართობი (ცხრილი 705.8) განსხვავებულია.

- დაკავებულობებიდან და კონსტრუქციის ტიპიდან (I-B ტიპი) გამომდინარე, 602 ცხრილის თანახმად, საპროექტო შენობის გარე კედლებს ყველაზე კრიტიკულ ხანძარსაწინააღმდეგო მანძილებზეც არ ესაჭიროება 1 საათზე მეტი ხანძარმედეგობა, ხოლო ზოგიერთ კედელს საერთოდ არ ესაჭიროება, გამონაკლისია მხოლოდ 0.00 ნიშნულზე სავაჭრო **(სვ)** ფართობების ის გარე კედლები, რომლებსაც ხანძარსაწინააღმდეგო მანძილიდან (1.5 მ-ზე ნაკლები) მოეთხოვება 2 საათიანი ხანძარმედეგობა. პროექტის ავტორის მიერ ეს გარემოება გათვალისწინებულია და რიგ გარე კედლებზე (სადაც ეს აუცილებელია) მითითებულია 2 საათიანი ცეცხლმედეგობა. 2 საათიანი და მეტი ცეცხლმედეგობა გააჩნია აგრეთვე ყველა იმ გარე კედელს, რომელიც გრუნტთან შეხებაშია ანუ ასეთი კედლები არის გაძლიერებული ბეტონის და 721.1(2) ცხრილის თანახმად გააჩნია 2 საათზე მეტი ცეცხლმედეგობის ხარისხი. რაც შეეხება გარე კედლებში მოწყობილ ღიობების ფართობეს ისინი შესაბამისობაშია 705.8 ცხრილში განსაზღვრულ მოთხოვნებს.

შენიშვნა №1: გარე კედლების ხანძარმედეგობა და კედლის ღიობების პროცენტულობა დეტალურად არის წარმოდგენილი შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობის ანალიზის ცხრილში (გვ.5 და 6).

შენიშვნა №2: ხანძარსაწინააღმდეგო მანძილები გაზომილია კედლების ზედაპირიდან (მართი კუთხით), როგორც საკადასტრო საზღვრამდე, ასევე საზოგადოებრივი სივრცის, ქუჩის შუახაზამდე.

- ვინაიდან შენობა მთლიანადაა აღჭურვილი ავტოსაშხეფი სისტემით, 705.8.5 ქვეთავის №2 გამონაკლისის მიხედვით, მომიჯნავე სართულების ღიობების ერთმანეთისგან შვეულ დაშორებებთან მიმართებაში გამიჯვნის საჭიროება არ არის და შესაბამისად არც პროექტით არის გათვალისწინებული.

- გარე კედლებს არ გააჩნია პარაპეტი, რომელიც ამ შემთხვევაში აუცილებელი არც არის, რადგან დაცულია 705.11 ქვეთავის რიგი გამონაკლისების მოთხოვნები;

შენიშვნა N1: ჰიდროიზოლაცია უნდა მოეწყოს გარე კარისა და ფანჯრის ანაწყობების, გაყვანილობების და გარე კედლის ანაწყობების (მათ შორის პარაპეტის) დასრულების ადგილების პერიმეტრებთან, გარე კედლისა და სახურავის გადაკვეთასთან, საკვამურებთან, პორტიკებთან (კართანებთან), ტერასებთან (ბანებთან), აივნებთან და მსგავს ნაშვერებთან შეერთების ადგილებში, ასევე, ჩაშენებულ წყალსადინარ ღარებში და მსგავს ადგილებში, საიდანაც წყალმა შეიძლება კედელში შეაღწიოს. ჰიდროიზოლაცია უნდა მოეწყოს გამოშვერილი კიდეების ორივე მხარეზე და ბოლოებთან კედლისზედა ბურულების, წოლანების ქვეშ და უწყვეტი გამოშვერილი გაფორმების თავზე.

გარე კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი, ასევე გარე კედლებში მოსაწყობი ღიობების ფართობი 602 და 705.8 ცხრილების მიხედვით, ხანძარსაწინააღმდეგო მანძილების შესაბამისად არის გამოთვლილი და აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს.

8. სახურავის ანაწყობების შეფასება:

- საპროექტო შენობის სახურავ(ებ)ი არის კომბინირებული (როგორც ქანობიანი ისე ბრტყელი გადახურვა) და გააჩნია წყალარინი ღარები და მილები;

- 601-ე ცხრილის მიხედვით, შერჩეული კონსტრუქციის ტიპიდან (**I-B**) გამომდინარე სახურავის კოსტრუქციას და არაძირითად ნაწილებს უნდა გააჩნდეს 1 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხი, რაც პროექტით

გათვალისწინებულია; (601 ცხრილის მიხედვით, იქ სადაც აუცილებელია 1 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხი, დასაშვებია მასიური ხის გამოყენება);

- ქანობიანი სახურავების შემთხვევაში ჭერ(ებ)ის საშუალო სიმაღლე ნაკლებია 2.3 მ-ზე, რაც იმას ნიშნავს, რომ 1208.2 ქვეთავის თანახმად, შენობის სახურავები დაუკავებელი სივრცეებია;

- „1-H11“ ღერძებს შორის მდებარე დაუკავებელ სახურავზე მოხვედრა შესაძლებელია მონაცვლე საფეხურიანი კიბის და ლიუკის საშუალებით, რაც დასაშვებია 1009.16 ქვეთავით;

- როგორც ზემოთ აღვნიშნეთ სახურავს არ გააჩნია პარაპეტი;

- სახურავზედა ნაგებობების (კიბის, ლიფტის, შახტების და სხვა ნაწილების) ფართობი არ აღემატება საყრდენი სახურავის ფართობის ერთმესამედს, რაც აკმაყოფილებს 1509.2.2-ე პუნქტის მოთხოვნას.

შენიშვნა N1: სახურავის ბურულის ხანძრის კლასიფიკაცია კონსტრუქციული ანაწყობების მიხედვით უნდა განეკუთვნოს B კლასს, თანახმად 1505.1ა ცხრილისა (B კლასის სახურავის ანაწყობებად ითვლება ის ანაწყობები, რომლებიც ტესტირების დროს უძლებს ზომიერი ცეცხლის ზემოქმედებას).

ჰიდროიზოლაცია უნდა მოთავსდეს კედლისა და სახურავის გადაკვეთის ადგილებში, წყალსადინარ არხებთან, სახურავის ქანობის ან მიმართულების შეცვლის ადგილებში/ ლითონის ჰიდროიზოლაცია უნდა იყოს კოროზიამედეგი და, არანაკლებ, 0,5 მმ სისქისა.

შენობების გარეთ მოთავსებული წყალარინი ღარები და მილები არაწვადი მასალით ან, სულ მცირე, 40 ზომის პლასტმასის მილებით უნდა აიგოს.

შენიშვნა N2: სახურავის კონსტრუქციის შემადგენელი ლითონის ელემენტები უნდა დამუშავდეს ცეცხლისაგან დაცვის ისეთი საშუალებებით, რომლებიც უზრუნველყოფს 1 საათიან ცეცხლმედეგობის ხარისხს. 601-ე ცხრილის

მიხედვით, იქ სადაც აუცილებელია 1 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხი, დასაშვებია მასიური ხის გამოყენება.

შენიშვნა N3: 60სმ-მდე ხანძარსაწინააღმდეგო მანძილზე დაუშვებელია სახურავის ნაშვერების მოწყობა.

სახურავის ანაწყობები აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს

9. ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასება:

- კონსტრუქციის ტიპიდან (**I-B**) გამომდინარე შენობის ყველა იატაკის კონსტრუქციას გააჩნია 2 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხი (ცხრილი 601), რაც პროექტით გათვალისწინებულია და შესაბამისად დაკავებულობების აუცილებელი თარაზული გამიჯვნის მოთხოვნები, რაც 508.4 ცხრილში საათების მიხედვითაა დადგენილი დაცულია;

- რაც შეეხება შვეულ გამმიჯნავებს განვიხილოთ ისინი ცალ-ცალკე:

  1) საცხოვრებელი ერთეულები (სასტუმროს ნომრები და საერთო საცხოვრებლის ოთახები/ნომრები), 420.2 ქვეთავისა 508.4 ცხრილის მოთხოვნათა შესაბამისად, ერთმანეთისგან და ასევე სხვა დაკავებულობისგან (**სქ** და **დს**) გამიჯნულია 1 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე ტიხრებით;

  2) იმ სართულებზე სადაც საცხოვრებელი ერთეულებია განთავსებული, დერეფნების კედლებსაც გააჩნია 1 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხი (თუმცა 1018.1 ცხრილის მიხედვით, ავტოსაშხეფი სისტემის არსებობისას, დასაშვებია 0,5 საათი). ამ კედლებში, 716.5 ცხრილის მოთხოვნათა შესაბამისად, მოწყობილია 20 წთ-იანი ცეცხლმედეგობის მქონე კარის ანაწყობები;

3) -2.95 ნიშნულზე მდებარე სახანძრო ტუმბოს და ავზების ოთახი, 913.2.1 ქვეთავის შესაბამისად, ყველა დანარჩენი სივრცისგან გამიჯნულია 2 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე ზღუდეებით, რომლის ღიობები 716.5 ცხრილის მიხედვით, დაცულია 90 წუთიანი ცეცხლმედეგობის მქონე კარის ანაწყობებით;

4) -2.95 ნიშნულზე მდებარე სქ და დს დაკავებულობები ერთმანეთისგან გამიჯნულია 1 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე ზღუდეებით, თანახმად 508.4 ქვეთავისა (ეს ფართობები აღჭურვილია ავტოსაშხეფი სისტემით);

5) -2.95 ნიშნულზე მდებარეობს საგენერატორო და დიზელის შესანახი სათავსი, რომლებიც მიეკუთვნებიან დიდი საფრთხის შემცველ ჯგუფს (**დსშ-3**) და ისინი, 508.4 ცხრილის მიხედვით, **სწ-2** ჯგუფს მიკუთვნებული შემოზღუდული ავტოსადგომისაგან უნდა გაიმიჯნოს (ავტოსაშხეფი სისტემის არსებობის გათვალისწინებით) 2 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე კედლებით, რაც პროექტით გათვალისწინებულია, ამასთან 406.4.7 ქვეთავის მიხედვით, ზემოაღნიშნულ სათავსებს ესაჭიროება ვესტიბიული (ტამბური), რომელიც ორ გზა-კარიან გამმიჯნავს უზრუნველყოფს, რაც ასევე გათვალისწინებულია წარმოდგენილ პროექტში. ვესტიბიულების გზა-კარების ცეცხლმედეგობის ხარისხი არის 90 წუთი, რაც აკმაყოფილებს 716.5 ცხრილის მოთხოვნებს;

6) -2.95 ნიშნულზე ავტოსადგომი გარაჟის სივრცე (**სწ-2**), სასტუმროს სამეუნეო ნაწილისგან, 406.4.6 ქვეთავის და 508.4 ცხრილის თანახმად, გამიჯნული უნდა იყოს 1 საათიანი ცეცხლმედეგობის ზღუდეებით (ავტოსაშხეფი სისტემის არსებობის გათვალისწინებით), რაც პროექტით გათვალისწინებულია. დამატებით, ამ სივრცეების დამაკავშირებელ ადგილებში გათვალისწინებულია ვესტიბიულები (ტამბურები) (განმარტებითი ბარათისა და შესაბამისი ცხრილის მიხედვით, ეს ვესტიბიულები დაწნევადია), რომლებიც ორ გზა-კარიან გამმიჯნავს უზრუნველყოფს. ვესტიბიულების კედლებში, 716.5 ცხრილის მოთხოვნათა

შესაბამისად, მოწყობილია 45 წთ-იანი ცეცხლმედეგობის მქონე კარის ანაწყობები;

7) როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1022.2 ქვეთავის თანახმად, გზა-კიბეები შემოზღუდულია 2 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე კედლებით, ხოლო გზა-კიბეების ღიობები დაცულია 90 წუთიანი ცეცხლმედეგობის მქონე კარის ანაწყობებით, რაც აკმაყოფილებს 716.5 ცხრილის მოთხოვნებს;

8) მიწისქვეშა სართულზე (-2.95 ნიშნულზე) მდებარე კიბის ვესტიბიულები შემოზღუდულია 2 საათიანი ცეცხლმედეგი ზღუდეებით, რომლის ღიობები დაცულია 90 წუთიანი ცეცხლმედეგობის მქონე კარის ანაწყობებით, რაც აკმაყოფილებს 716.5 ცხრილის მოთხოვნებს;

9) ±0.00 ნიშნულზე მდებარე გზა-დერეფნები, 1023.3 ქვეთავის თანახმად, შენობის დანარჩენი სივრცეებისგან შემოზღუდულია 2 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე კედლებით. გზა-დერეფნის გამმიჯნავ ზღუდეებში მოწყობილია 90 წუთიანი ცეცხლმედეგობის მქონე კარის ანაწყობები, თანახმად 716.5 ცხრილისა;

10) მიწისქვეშა სართულის გარაჟის ნაწილში, ლიფტებს გააჩნია დაწნევადი ფოიე (იხ. განმარტებითი ბარათი და შესაბამისი ცხრილი), რომლის შემომზღუდავი კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი არის 1 საათი, რაც სავსებით საკმარისია, რადგან 713.14.1 ქვეთავის თანახმად, ეს შემომზღუდავები უნდა აკმაყოფილებდეს 708-ე ქვეთავში ცეცხლმედეგი ტიხრებისათვის განსაზღვრულ მოთხოვნებს ანუ 1 საათიც საკმარისია. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ამ შემომზღუდავებში მოწყობილი კარის ანაწყობების ცეცხლმედეგობის ხარისხი არის 45 წუთი, რაც აკმაყოფილებს 716.5 ცხრილის მოთხოვნებს მოთხოვნებს. აღსანიშნავია, რომ მიწისქვეშა სართულის სამეურნეო ნაწილში ლიფტებს ფოიე არ გააჩნია, რადგან სამეორნეო და გარაჟის ნაწილების დამაკავშირებელ ადგილებში უკვე არის გათვალისწინებული დაწნევადი ვესტიბიულები (ტამბურები), როგორც ეს ზემოთ აღვნიშნეთ;

11) შენობაში არსებული შახტების (ლიფტების, საჰაერო და საკომუნიკაციო) შემომზღუდავების ცეცხლმედეგობის ხარისხი არის 2 საათი, რაც აკმაყოფილებს 713.4. ქვეთავის მოთხოვნებს;

12) რაც შეეხება ±0.00 ნიშნულზე მდებარე ფართობებს, აქ დაკავებულობები ერთმანეთისგან არ იმიჯნება რამდენიმე მიზეზით, კერძოდ: იმიტომ, რომ მიეკუთვნებიან ერთი და იმავე საფრთხის შემცველი დაკავებულობის ჯგუფს; ამ დაკავებულობებში (როგორიცაა **თვ-2** და **სწ-2**) გათვალისწინებულია მე-9 თავში განსაზღვრული ყველაზე მკაცრი შეზღუდვები (სახანძრო სისტემები) და ამიტომ ისინი ითვლება 508.3.1 ქვეთავით დასაშვებ გაუმიჯნავ დაკავებულობებად; ეს დაკავებულობები (როგორიცაა **სქ**, **სწ-1** და **დს**), მცირე ჯამური ფართობის გათვალისწინებით, წარმოადგენს 508.2 ქვეთავის შესაბამის დამხმარე დაკავებულობებს, რომლებსაც მთავარი დაკავებულობ(ებ)ისგან გამიჯვნა, 508.2.4 ქვეთავის მიხედვით, არ მოეთხოვება; ავტოსაშხეფი სისტემის არსებობის გათვალისწინებით, დერეფნის კედლებს ხეცხლმედეგობის ხარისხი არ მოეთხოვება;

შენიშვნა №1: ცეცხლმედეგი კარის ანაწყობი 716.5.1 ქვეთავების მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს, რომლის მიხედვით ანჯამიანი ან ღერძზე მოძრავკარიანი ცეცხლმედეგი კარის ანაწყობი, რომელიც კვამლგაუმტარი ზღუდის კედელში არ მდებარეობს, NFPA 252-ის ან UL 10 C-ს შესაბამისად უნდა შემოწმდეს. ცეცხლმედეგი კარები NFPA 80-ის შესაბამისად უნდა დამონტაჟდეს.

შენიშვნა №2: 716.5.3 ქვეთავის თანახმად, ცეცხლმედეგი კარის ანაწყობები, რომელთაც 716.5 ცხრილში მოცემული ცეცხლმედეგობის ხარისხიანი დერეფნის კედლებში ან კვამლგამტარი ზღუდეების კედლებში მდებარეობის შემთხვევაში 20 წუთიანი ცეცხლმედეგობის ხარისხი სჭირდება (ამ კატეგორიაში შედის ლიფტის ფოიეს კარიც, თუმცა ამ შემთხვევაში მას 45 წუთიანი ცეცხლმედეგობა ესაჭიროება), NFPA 252-ის ან UL 10 C-ს და UL 1784-ის შესაბამისად უნდა შემოწმდეს. კვამლგაუმტარი კარები NFPA 105-ის შესაბამისად უნდა დამონტაჟდეს.

შენიშვნა №3: 716.5.2 ქვეთავის თანახმად, ლიფტის კარის ანაწყობები NFPA 252-ის ან UL 10B-ის შესაბამისად უნდა შემოწმდეს.

შენიშვნა №4: საჰაერო შახტის ღიობები დაცული უნდა იყოს 717.5.3. ქვეთავის მიხედვით დაყენებული ცეცხლისა და კვამლის ფარსაკეტებით).

შენიშვნა №5: შენობის იატაკში არსებული ნაკერები გადაბმის ცეცხლმედეგი სისტემით უნდა იყოს დაცული და უნდა დაგეგმარდეს 715-ე ქვეთავის მოთხოვნათა შესაბამისად.

ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავები განსაზღვრულია „ჩესების“ მიხედვით.

10. ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასება:

- საპროექტო შენობა მთლიანად არის აღჭურვილი ავტოსაშხეფი სისტემით.

  შენიშვნა N1: 903.3.1.1.1 ქვეთავით განსაზღვრული ადგილები, სადაც ავტოსაშხეფი სისტემის არსებობა დაუშვებელია უნდა განისაზღვროს შესაბამისი საინჟინრო პროექტით. ასეთ ადგილებში შესაძლებელია ალტერნატიული ავტომატური ცეცხლსაქრობი სისტემების არსებობა, რომლებიც 904-ე ქვეთავის შესაბამისად უნდა მოეწყოს.

  შენიშვნა N2: ავტოსაშხეფი სისტემის მოწყობა უნდა მოხდეს 903.3.1 - 903.3.6 ქვეთავების მოთხოვნათა დაცვით (102.3 ქვეთავის თანახმად, დასაშვებია მითითებული სტანდარტების შესაბამისი სხვა სტანდარტების გამოყენება).

- შენობის ყველა სართულზე, გათვალისწინებულია სახანძრო მილდგარების სისტემის მოწყობა. მილდგარების სახელოს მისაერთებლები ისეა განლაგებული, რომ შენობის ყველა ნაწილი ექცევა 30 მ სიგრძის სახელოზე მიმაგრებული თავაკიდან 9,0 მ-ის საზღვრებში.

  შენიშვნა: სისტემის მოწყობა უნდა მოხდეს 905 ქვეთავის მოთხოვნათა დაცვით.

- შენობაში გათვალისწინებულია კვამლის კონტროლის სისტემა, კერძოდ: ლიფტის შახტებს გააჩნია დაწნევის სისტემა; კიბის უჯრედებს მიწისქვეშა

სართულზე გააჩნია ვესტიბიულები (ტამბურები); მიწისქვეშა სართულზე ლიფტებს გარაჟის ნაწილში გააჩნია დაწნევადი ფოიე; **დსშ-3** დაკავებულობის მქონე ფართობებს მიწისქვეშა სართულზე გააჩნია ტამბურები; მიწისქვეშა სართულის გარაჟის ნაწილისა და სამეურნეო ნაწილის დამაკავშირებელ ადგილებში გათვალისწინებულია დაწნევადი ვესტიბიულები (ტამბურები); დერეფნები და მიწისქვეშა გარაჟი აღჭურვილია მექანიკური კვამლგამწოვი სისტემებით (იხ. განმარტებითი ბარათი და ცხრილი).

შენიშვნა: სისტემები უნდა მოეწყოს 909 ქვეთავის მოთხოვნათა დაცვით

- შენობაში გათვალისწინებულია სახანძრო განგაშისა და ცეცხლაღმომჩენი სისტემები, კერძოდ:

1) 907.2.9.1 ქვეთავის მიხედვით საჭირო სახანძრო განგაშის ხელით სამართავი სისტემა, რომლის კოლოფები 907.4.2.1 ქვეთავის თანახმად განთავსებულია თითოეული გასასვლელიდან 1,5 მ-ის ფარგლებში ისე, რომ მათთან მისასვლელი მანძილი 60მ-ს არ აღემატება;
2) კვამლის/ცეცხლის ავტომატური აღმომჩენები, რომლებიც გათვალისწინებულია, პრაქტიკულად, ყველგან, გზა-კიბეების, კიბის ვესტიბიულების და გზა-დერეფნების გარდა;
3) სახანძრო სიგნალიზაციის სისტემა, რომელიც მოწყობილია საერთო სარგებლობის დერეფნებში და ფოიეებში, თავშეყრის ფართობებზე (მათ შორის **სქ** დაკავებულობის მქონე სასადილოებში, სავარჯიშო ოთახებში და სამკითხველო დარბაზში) და მათთან არსებულ გაუმიჯნავ დაკავებულობაში, კომერციულ ფართობებში, შემოზღუდულ/მიწისქვეშა ავტოსადგომ გარაჟში, სახანძრო ტუმბოს ოთახში და დაცვის ოთახში;
4) 415.8.2.3 ქვეთავის მიხედვით საჭირო ავტომატური განგაშის მექანიზმი, რომელიც დსშ-3 დაკავებულობებში მიანიშნებს შესანახი ავზიდან და ოთახიდან სითხის გაჟონვაზე.

შენიშვნა N1: სახანძრო განგაშის სისტემები უნდა მოეწყოს 907.2 ქვეთავის მოთხოვნათა დაცვით (102.3 ქვეთავის თანახმად, დასაშვებია მითითებული სტანდარტების შესაბამისი სხვა სტანდარტების გამოყენება).

შენიშვნა N2: იმ ოთახის ყველა შესასვლელთან, სადაც მდებარეობს დიზელის შესანახი ავზი და რომლიდანაც არის სითხის გაჟონვის ალბათობა, განგაშის მექანიზმი უნდა გამოსცემდეს გარემმცველი ხმაურის დონეზე 15 დეციბელით მაღალ ხმოვან სიგნალს. ავზის შესანახ ყველა კართან უნდა მოთავსდეს ნიშანი, რომელიც მიანიშნებს ოთახში შესაძლო საფრთხის შემცველ გარემოზე. გაჟონვისას გააქტიურებული განგაშის ზედამხედველობა უნდა ხდებოდეს მე-9 თავის შესაბამისად, რათა გაუმართაობის შეტყობინება შესაბამის სადგურს გადაეცეს.

- შენობის -2.95 ნიშნულზე განთავსებულია სახანძრო ავზებისა და ტუმბოს ოთახი.

  შენიშვნა: სახანძრო ტუმბოებთან დაკავშირებით დაცულ უნდა იქნეს 913-ე ქვეთავის მოთხოვნები.

- საერთო სარგებლობის დერეფნებში და ფოიეებში, აგრეთვე თავშეყრის ფართობებში (მათ შორის **სქ** დაკავებულობის მქონე სასადილოებში, სავარჯიშო ოთახებში და სამკითხველო დარბაზში) და მათთან არსებულ გაუმიჯნავ დაკავებულობაში, კომერციულ ფართობებში, შემოზღუდულ/მიწისქვეშა ავტოსადგომ გარაჟში, სახანძრო ტუმბოს ოთახში და დაცვის ოთახში გათვალისწინებულია ხელის ცეცხლმაქრების განთავსება.

  შენიშვნა: ცეცხლმაქრები უნდა შეირჩეს და მოეწყოს 906 ქვეთავისა და NFPA 10-ის შესაბამისად (102.3 ქვეთავის თანახმად, დასაშვებია მითითებული სტანდარტების შესაბამისი სხვა სტანდარტების გამოყენება).

- გარე ტერიტორიაზე გათვალისწინებულია სახანძრო-სამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი ორი მისაერთებლის მოწყობა, რაც მოთხოვნილია „წესების“ 912 ქვეთავით.

შენიშვნა: სახანძრო მისაერთებლები უნდა განთავსდეს NFPA -ის სტანდარტების შესაბამისად (რომლების ეხება სისტემების დაგეგმარებას) და უნდა აკმაყოფილებდეს 912.2-912.5 ქვეთავების მოთხოვნებს (102.3 ქვეთავის თანახმად, დასაშვებია მითითებული სტანდარტების შესაბამისი სხვა სტანდარტების გამოყენება).

- საპროექტო მიწის ნაკვეთზე გათვალისწინებულია 1 სახანძრო ჰიდრანტის მოწყობა;

ხანძრისგან დაცვის სისტემები სწორად არის განსაზღვრული „წესების“ მიხედვით.

11. წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება:

წყალსადენის სისტემის აუცილებელი ფიქსირებული მოწყობილობების რაოდენობა შეესაბამება 1602.1 ცხრილის მოთხოვნებს. კერძოდ:

- ავტოსადგომების ნაწილში (**სწ-2**), სახანძრო ტუმბოს და ავზების ოთახში (**დს**) და ტექნიკურ ოთახებში (**დს**) წყალსადენი სისტემების აუცილებელი ფიქსირებული მოწყობილობების არსებობა, 1602.1 ცხრილის მიხედვით, საჭირო არ არის და არც პროექტით არის გათვალისწინებული. ამავე სართულზეა სასაწყობო **(სწ-1)** და საქმიანი **(სქ)** დაკავებულობები, რომელთა დამკავებლების რაოდენობა საერთო ჯამში არის 9. ±0.00 ნიშნულზე გათვალისწინებულია საკმაოდ ბევრი საერთო სარგებლობის ტუალეტები, თითოეული სქესისთვის ცალ-ცალკე მოწყობილობებით, ასევე ტუალეტები შშმ პირთათვის, როგორც თითოეული სქესისთვის ცალ-ცალკე, ასევე საერთოც. საერთო ჯამში მათი რაოდენობა საკმარისია, როგორც ±0.00 ნიშნულის დამკავებლებისთვის, ასევე მიწისქვეშა სართულის დამკავებლებისთვისაც და აკმაყოფილებს 1602.1 ცხრილის მოთხოვნებს; მიწისქვეშა სართულიდან პირველი სართულზე მოწყობილ ტუალეტებამდე მისადგომი ბილიკის სიგრძე კი არ აღემატება 150 მეტრს და აკმაყოფილებს 1602.3.2 ქვეპუნქტის მოთხოვნებს.

- ±0.00 ნიშნულზე განთავსებულია 2 კომერციული ფართობი **(სვ).** №1 შედარებით მცირე ზომის კომერციულ ფართობში გათვალისწინებულია ერთი შშმპ ტუალეტი, ხოლო №2, შედარებით დიდი ზომის კომერციულ ფართობში კი მოწყობილია ტუალეტები როგორც კაცებისთვის, ასევე ქალებისთვის და ერთიც შშმ პირთათვის. ორივე კომერციული ფართობში მოწყობილია სამომსახურო ნიჟარა.

- თითოეულ საერთო საცხოვრებელ ოთახ/ნომერში **(სც-2)** და სასტუმროს ნომერში **(სც-1)** გათვალისწინებულია ყველა ის მოწყობილობა, რაც აუცილებელია და აკმაყოფილებს ცხრილის მოთხოვნებს. ორივე ბლოკში, ყველა სართულზე გათვალისწინებულია დამლაგებლის ოთახი, სადაც მოწყობილია სამომსახურო ნიჟარები. გასათვალისწინებელია, რომ სასტუმროს ბლოკის +4.10, +16.10 და +22.10 ნიშნულებზე მოწყობილია სავარჯიშო დარბაზები, რომლებიც განკუთვნილია მხოლოდ სასტუმროს მაცხოვრებლებისთვის, რაც შეეხება საერთო საცხოვრებლის ბლოკის ყველა სართულზე მოწყობილ სამზარეულო სასადილოს, მათ დამკავებლებს შეადგენს ამავე სართულის მაცხოვრებლები, შესაბამისად ცალკე ტუალეტის მოწყობის აუცილებლობა ამ შემთხვევებში არ არის.

- მიწისქვეშა და პირველი სართულების თითქმის ყველა სივრცე უზრუნველყოფილია სასმელი წყლის აპარატებით, რაც თავისთავად ასრულებს ცხრილის მიხედვით განსაზღვრული წყლის დასალევი შადრევნის ფუნქციას.

შენიშვნა: წყალსადენის სისტემის აუცილებელი ფიქსირებული მოწყობილობების რაოდენობა დეტალურად არის ასახული „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობის ანალიზი“-ს ცხრილში (გვ. 18 და 19).

წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების აუცილებლობა განსაზღვრულია „წესების“ მიხედვით.

12. ლიფტების შეფასება:

- საპროექტო შენობაში გათვალისწინებულია 5 ლიფტი, რომლებიდანაც მხოლოდ ორს და ისიც მიწისქვეშა სართულის გარაჟის ნაწილში გააჩნია 713.14.1 ქვეთავის თანახმად საჭირო შემოზღუდული ფოიე (ტამბური), რაც დასაშვებია 713.14.1 ქვეთავის N4 და N6 გამონაკლისების თანახმად, რადგან შენობა მთლიანად არის აღჭურვილი ავტოსაშხეფი სისტემით და ლიფტის შახტებში გათვალისწინებულია დაწნევის სისტემა (დაწნევის სისტემა გათვალისწინებულია, აგრეთვე, მიწისქვეშა სართულზე, გარაჟის ნაწილში მდებარე ლიფტის ფოიეშიც);

- ყველა ლიფტი არის მისაწვდომი სვლაგეზის შემადგენელი კომპონენტი, ხოლო აქედან მხოლოდ ორი ლიფტი (ერთი სასტუმროს ნაწილში და ერთიც საერთო საცხოვრებლის ნაწილში) არის აუცილებელი მისაწვდომი გასასვლელი საშუალებაც (იხ. განმარტებითი ბარათი);

- ხუთიდან სამი ლიფტის კაბინის გაბარიტები იძლევა იმის საშუალებას, რომ მასში 60სმ X 2,15მ. ზომის, არანაკლებ 13 სმ რადიუსის კუთხეებიანი საკაცე განთავსდეს (1702.4 ქვეთავი).

  შენიშვნა N1: იმ ლიფტებთან, რომლის კაბინაშიც საკაცე თავსდება, დატანილი უნდა იყოს სასწრაფო სამედიცინო დახმარების საერთაშორისო სიმბოლო (სიცოცხლის ვარსკვლავი). სიმბოლოს სიმაღლე 75 მმ უნდა იყოს და უნდა განთავსდეს ლიფტის შახტის შემომზღუდავის კარის ჩარჩოს შიგნით, ორივე მხარეს, თანახმად 1702.4 ქვეთავის მოთხოვნისა;

  შენიშვნა N2: ლიფტები უნდა მოეწყოს მე-17 თავის მოთხოვნათა დაცვით.

  შენიშვნა N3: ლიფტის შახტის დაწნევა უნდა აკმაყოფილებდეს 909.21 ქვეთავის მოთხოვნებს.

  შენიშვნა №4: ლიფტი, რომელიც მისაწვდომი სვლაგეზის ნაწილია უნდა შეესაბამებოდეს „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მოთხოვნებს და ASME A17.1/CSA B44 სტანდარტს.

შენიშვნა №5: ლიფტი, რომელიც აუცილებელი გასასვლელი საშუალების ნაწილია უნდა აკმაყოფილებდეს საავარიო რეჟიმთან და განგაშის მოწყობილობებთან დაკავშირებულ მოთხოვნებს, რომელიც ASME A17-შია მოცემული. ამასთან ასეთი ლიფტის სათადარიგო ელ.მომარაგება 1703-ე ქვეთავის შესაბამისად უნდა იქნეს უზრუნველყოფილი.

ლიფტებთან დაკავშირებული მოთხოვნები განსაზღვრულია „წესების“ მიხედვით.

13. ავტომობილებთან დაკავშირებული მოთხოვნების შეფასება:

- -2.95 ნიშნულზე განთავსებულ შემოზღუდულ ავტოსადგომ გარაჟთან მიდგომა, რომელიც ჯამში 50-ზე ნაკლებ ადგილზეა გათვლილი, ხდება ორი ცალმხრივი (ცალმხრივი შესასვლელი და ცალმხრივი გამოსასვლელი) საავტომობილო პანდუსის მეშვეობით, რაც აკმაყოფილებს 406.9.4.7 ქვეთავის მოთხოვნებს;

- ზემოაღნიშნული საავტომობილო პანდუსების დახრის პროცენტულობა თავსა და ბოლოში, 3.50 მეტრზე, არის 8% - 10%, ხოლო შუაში - 18%. ყოველივე ზემოაღნიშნული აკმაყოფილებს 406.9.4.4 ქვეთავის მოთხოვნებს.
- ერთ-ერთი პანდუსი არის მოხვეული, სადაც მოხვევის შიგა რადიუსი აკმაყოფილებს 406.9.4.2 ქვეთავის მოთხოვნებს და არის 4,5 მ.

- თითოეული პანდუსის სიგანე და საავტომობილო გზის მინიმალური სიგანე არის 3.50 მ, რაც აკმაყოფილებს 406.9.4.1 ქვეთავის მოთხოვნებს;

- ავტომობილთათვის განკუთვნილი ადგილის ზომები (მინიმუმ 2,4 მ x 5,0 მ) შესაბამისობაშია 406.9.3 ქვეთავის მოთხოვნებთან;

- დაცულია აგრეთვე 406.9.4.3.1 ცხრილის მოთხოვნები ავტოსადგომების ზომების, განლაგების და გასავლელების მიმართ;

- 406.6.2 ქვეთავის თანახმად, შემოზღუდული ავტოსადგომი გარაჟი უზრუნველყოფილი იქნება მექანიკური განიავების/კვამლის გაწოვის სისტემით (იხ. განმარტებითი ბარათი და ცხრილი).

- როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მიწისქვეშა ავტოსადგომზე გათვალისწინებულია 2 ადგილი შშმ პირთათვის, რაც ავტომობილების რაოდენობიდან გამომდინარე (ჯამში 26 ავტოსადგომი) აკმაყოფილებს 1106.1 ცხრილის მოთხოვნებს.

ავტომობილებთან დაკავშირებული მოთხოვნები სწორად არის განსაზღვრული „წესების“ მიხედვით.

დ ა ს კ ვ ნ ა:

ზემოაღნიშნული შეფასებებიდან გამომდინარე მიმაჩნია, რომ ქ. თბილისში, დ. უზნაძის ქ. N14-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.16.05.001.023) დაპროექტებული მრავალფუნქციური შენობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი შესაბამისობაშია „ტექნიკური რეგლამენტის – შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების მოთხოვნებთან. საექსპერტო დასკვნის საფუძველზე პროექტს ეძლევა დადებითი შეფასება განსახორციელებლად

გაფრთხილება!

1. კონსტრუქციული, საინჟინრო და სახანძრო უსაფრთხოების სისტემების პროექტები უნდა დამუშავდეს „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“-ს მოთხოვნების დაცვით.
2. კონსტუქციული(სტრუქტურული) პროექტის დამუშავებისას დაცულ უნდა იქნას პროექტში მითითებული ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნები შენობის ელემენტებისათვის 721-ე ქვეთავის მიხედვით.

3. სახანძრო სახელოების შემაერთებელი თავაკები (რომლებიც გამოყენებული იქნება სახანძრო მილდგარების სისტემის მისაერთებლებთან), სახანძრო-სამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი მისაერთებელი და ალტერნატიული ავტომატური ცეცხლსაქრობი სისტემები შეთანხმდეს სახანძრო-სამაშველო დანაყოფთან.
4. სათადარიგო/საავარიო ელექტრომომარაგებით უზრუნველყოფილი უნდა იყოს:

- განიავების და ცეცხლის ავტომატური აღმომჩენი სისტემები
- კვამლის საკონტროლო სისტემა
- ლიფტები და ლიფტის კაბინების განათება
- გასასვლელების ნიშნების და გასასვლელი საშუალებების განათება მე-10 თავის მოთხოვნათა შესაბამისად
- სახანძრო განგაშის სისტემები
- ელექტროენერგიაზე მომუშავე სახანძრო ტუმბოები (საქაჩები)

5. ყველა ცეცხლმედეგი კარის ანაწყობი უნდა აკმაყოფილებდეს 716.5 ქვეთავის მოთხოვნებს;
6. არცერთ პირს არ შეუძლია აიღოს ან შეცვალოს ხანძრისგან დამცავი წესების შესაბამისად გათვალისწინებული და მოწყობილი რომელიმე სისტემა, მშენებლობის ნებართვის გამცემი/ზედამხედველი ორგანოს თანხმობის გარეშე;
7. უკანონოდ ჩაითვლება შენობის რომელიმე ნაწილის გამოსაყენებლად ვარგისად აღიარება, თუ ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემები წინასწარ შემოწმებული და აღიარებული არ არის.

ექსპერტი: ირაკლი კვარაცხელია

ექსპერტის მონაცემები

სახელი, გვარი: ირაკლი კვარაცხელია

დაბადების თარიღი და ადგილი: 23 ივნისი 1973 წელი, ქ. თბილისი

მისამართი: ქ. თბილისი, ჯანაშვილის ქ 5-7, ტ: 597 228 560

განათლება: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, არქიტექტურის ფაკულტეტი

პროფესია: არქიტექტორი

მუშაობის სტაჟი: 18 წელი

პროფესიული გამოცდილება: 1998 – 2008 წწ. ქ.თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახური (მთ. სპეციალისტი, შემდგომ განყოფილების უფროსი)

2008 –2010 წწ. შპს “საამშენებლო კომპანია პლანეტა” (არქიტექტორი)

2010 – 2017 წწ შ.პ.ს “თბილქალაქპროექტი" (არქიტექტორი, შემდგომ დირექტორი დღემდე)

საქართველო

დიპლომი

უა № 003165

მიეცა [illegible] ალექსანდრეს ძე
კვარაცხელიას
იმაზე, რომ ის 1990 წელს შევიდა საქართველოს
ტექნიკურ უნივერსიტეტში

და 1996 წელს დაამთავრა ტექნიკური
უნივერსიტეტის
სრული კურსი

არქიტექტურის სპეციალობით.
სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1996 წლის
„17" ივლისის გადაწყვეტილებით
ი.ა. კვარაცხელიას მიენიჭა

არქიტექტორის კვალიფიკაცია.

სახელმწიფო საგამოცდო
კომისიის თავმჯდომარე

რექტორი

მდივანი

ქალაქი თბილისი „29" VII 1996 წ.

МПФ Гознака. 1996.

რეგისტრაციის № 4216

ს ე რ ტ ი ფ ი კ ა ტ ი

№ 2017-007

გადაეცემა

ირაკლი კვარაცხელიას

მასზედ, რომ მან წარმატებით გაიარა შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების კურსი



„შენობა ნაგებობების ინსტიტუტი - საქართველო“

თეიმურაზ ბოლოთაშვილი, დირექტორი

ღია საზოგადოების ფონდი

March 25-26, 2021

Accessible and Usable Buildings and Facilities - National Standards

Certificate awarded to

Irakli Kvaratskhelia

Keti Khutsishvili
Executive Director

www.osgf.ge

4, Chovelidze street, Tbilisi 0108, Georgia, Tel: (+995 32) 225 04 63; E-mail contact@osgf.ge